

ხასიათის სიმტკიცის ნიშნებსა და ღირსებებს, სუბიექტურ კეთილდღეობასა
და სასკოლო ჩართულობას შორის კავშირი ქართველ მოზარდებში

თამარ თამლიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად*

განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

მარტინ სელიგმანისა და კრისტოფერ პეტერსონის მიერ 2004 წელს კლასიფიცირებული ხასიათის სიმტკიცისა და ღირსებების ნიშნები დღესდღეობით მკვლევარების დიდ ინტერესს იწვევს. მრავალმა კვლევამ აჩვენა კლასიფიცირებული 24 ნიშნის პრედიქტულობა ისეთ ცვლადებთან მიმართებაში, როგორცაა, მაღალი აკადემიური მოსწრება, ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელი და ა.შ.

წინამდებარე კვლევა, მიზნად ისახავდა სელიგმანისა და პეტერსონის მიერ კლასიფიცირებული ნიშნების კავშირის დადგენას მოსწავლეთა სუბიექტურ კეთდღეობასთან, სასკოლო ჩართულობასა და აკადემიურ წარმატებასთან ქართველ მოზარდებში. კვლევაში მონაწილეობა თბილისისა და რეგიონების როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების 14-დან 17 წლამდე ასაკის 106-მა მოსწავლემ მიიღო. მათ შეავსეს ხასიათის სიმტკიცისა და ღირსებების (VIA-Youth), სუბიექტური კეთილდღეობის გასაზომი - პოზიტიური და ნეგატიური აფექტურობის საზომი PANAS და ცხოვრებით კმაყოფილების კითხვარები. კვლევის მონაწილეთა სასკოლო ჩართულობა გაიზომა აკადემიური მოსწრებისა და სასკოლო ჩართულობის კითხვარის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ ზომავს მოსწავლის კოგნიტურ, ემოციურ და ცქევით ჩართულობას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში.

კვლევა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ქართული სასკოლო განათლების კონტექსტში სამომავლო ინტერვენციისა და სელიგმანისა და პეტერსონის მიერ კლასიფიცირებული თვისებების განვითარებაზე მუშაობის დაწყების საფუძველს შეიძლება ჩაუყაროს საფუძველი. პოზიტიური განათლება ნელ-ნელა იკიდებს ფეხს დასავლურ, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში.

შედეგებმა გვიჩვენა, რომ ქართველ მოზარდებში ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხთან კავშირში არის გუნდურობა, თუმცა აკადემიური მოსწრების კავშირი მასთან არ გამოიკვეთა. აკადემიური მოსწრება არ განსაზღვრავს ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელს. ამასთან, რაც უფრო დაბალია ნეგატიური აფექტურობის მაჩვენებელი მოსწავლეებში, მით უფრო მაღალია როგორც ქცევითი, ასევე კოგნიტური და ემოციური

ჩართულობა სასწავლო პროცესში. პოზიტიურ აფექტურობასთან მაღალი კორელაცია გამოიკვეთა მოსწავლეებში სწავლის სიყვარულის მაღალი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში. დაჟინებულობასა და აკადემიურ მოსწრებას შორის სტატისტიკურად სანდო უარყოფითი კორელაცია გამოიკვეთა - რაც უფრო დაბალია აკადემიური მოსწრება, მით უფრო მაღალია დაჟინებულობა და სასკოლო ჩართულობის (ქცევითი, კოგნიტური, ემოციური) ცვლადების შემთხვევაში, სტატისტიკურმა ანალიზმა დაჟინებულობის დადებითი კორელაცია აჩვენა. ლიდერობა სტატისტიკურად სანდო კავშირშია სოციალურ ინტელექტთან. სხვაობა ქართულო კერძო და საკარო სკოლების მოსწავლეთა ცხოვრებით კმაყოფილების მაჩვენებელში არ გამოიკვეთა. სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ გოგონები და ბიჭები მხოლოდ კოგნიტური სასკოლო ჩართულობით განსხვავდებიან ერთმანეთისგან - გოგონების შემთხვევაში კოგნიტური სასკოლო ჩართულობის მაჩვენებელი უფრო მაღალია.

საკვანძო სიტყვები: სკოლა, სახიათის სიმტკიცე და ღირსებები, მოზარდები, სუბიექტური კეთილდღეობა, სასკოლო ჩართულობა, პოზიტიური განათლება

Abstract

Character Strengths and Virtues classified by Martin Seligman and Christopher Peterson in 2004, is the subject of interest of many scholars. Research findings have shown predictability of classified 24 items for outcomes like academic success, subjective well-being, satisfaction with life, etc. This is the first time this topic is studied in Georgia.

Our research aimed to find a correlation between Character Strengths and Virtues, Subjective well-being, School Engagement and Academic Success among Georgian adolescents studying in Public and Private Schools of regions and capital city. 106 Adolescents of age 14-17 participated in the study. They filled Virtues in Action Inventory of Strengths Questionnaire for Youth (VIA-Youth), Positive and Negative Affect Schedule Questionnaire (PANAS) and Satisfaction with Life Scale. School engagement three dimensions – Behavioral, Cognitive and Emotional engagement were measured with the School Engagement Survey. Academic success was self-reported. The research might become the basis for planning interventions to cultivate Character Strengths and Virtues among Georgian students. Positive Education slowly becomes a part of modern Western education.

Results showed that lower scores of Negative Affect are correlated to higher Behavioral, Cognitive and Emotional School Engagement among Georgian Students. Higher scores of Positive Affect are correlated with higher scores for Love of Learning. Perseverance is negatively associated with Academic Success, but its higher scores correlated with higher School Engagement (Behavioral, Cognitive and Emotional). Leadership is significantly positively correlated with Social Intelligence. There was found no significant difference in Satisfaction with Life among students of public and private schools. Statistical analysis showed difference in Cognitive School Engagement among girls and boys, with girls showing higher Cognitive School Engagement.

Keywords: School, Character Strengths and Virtues, Adolescents, Subjective well-being, School Engagement, Positive Education.